რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია და დასავლეთის სანქციების პოლიტიკა

სოფიო გარდავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

2022 წლის თებერვალში, რუსეთ-უკრაინის საომარი მდგომარეობის შემდეგ, მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ვითარებამ მთელი მსოფლიო მოიცვა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სპეციფიური დამოკიდებულება და პოლიტიკა დანარჩენი მსოფლიოსადმი ახლა არ იღებს სათავეს. ეს პრობლემა გაცილებით მრავალ წელს ითვლის, შეიძლება საწყისები საბჭოთა კავშირის დაშიდანაც ავითვალოთ, თუმცა აქტიური ფაზა 2014 წლის ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის პერიოდს მოიცავს. სტატიაში წარმოდგენილი იქნება სწორედ 2014 წლის ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის ფაქტები, განვიხილავთ დასავლეთის ქვეყნების მხრიდან საპასუხოდ გატარებულ სანქციებს, ნატოსა და ევროკავშირის ჩართულობას ამ პროცესებში. ასვე ვისაუბრებთ რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევისა და უკრაინის კრიზისებზე.

THE ANNEXATION OF THE CRIMEAN PENINSULA BY RUSSIA AND THE POLICY OF WESTERN SANCTIONS

Sophio Gardava
PhD student of GTU

SUMMARY

In February 2022, after the state of war between Russia and Ukraine, the world political situation changed dramatically. The situation has affected the whole world, but it should be noted that Russia's specific attitude and policy towards the rest of the world does not originate now. This problem has been around for many years, the beginnings can be counted from the collapse of the Soviet Union, although the active phase includes the period of the annexation of the Crimean Peninsula in 2014. The article will present the facts of the annexation of the Crimean Peninsula in 2014, we will discuss the sanctions implemented by the Western countries in response, the involvement of NATO and the European Union in these processes. We will also talk about Russia's violation of international agreements and the crisis in Ukraine.

* * * *

2014 წელს ყირიმში მომხდარი პროცესები იყო რუსეთის ახალი სამხედრო-სტრატეგიული შესაძლებლობების პროექცია და მცდელობა ერთდროულად გამოყენებულ იქნეს ბრძოლის საშუალებების ფართო სპექტრი. დამდგარი შედეგით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის მიერ აღნიშნული ტაქტიკა აღმოჩნდა ეფექტიანი, ვინაიდან რეტროსპექტივაში რომ გავაანალიზოთ შედეგი და მოსკოვისთვის დამდგარი ზიანი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომ გავაანალიზოთ თუ რა დაუჯდა რუსეთს ყირიმის ანექსია, შეიძლება ითქვას, რომ სარგებელი მრავალჯერ აღემატებოდა ხარჯებს. აღნიშნული ოპერაცია, რა თქმა უნდა, არ იყო სპონტანური. მეტიც, არც საიდუმლო ყოფილა. რუსული ომის წარმოების ახალი ტაქტიკა ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში რუსულ სამხედრო გაზეთში აღწერა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა ვალერი გერასიმოვმა სტატიაში „მეცნიერების ღირებულება შორს მჭვრეტელობაშია. ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციის კვლევების დროს დასავლეთის მეცნიერებმა დაიწყეს ტერმინი „ჰიბრიდულის“ აქტიურად გამოყენება, რათა აღენიშნათ რუსეთის მიერ გამოყენებული მეთოდების მრავალფეროვნება.

„The Military Balance”-ის 2015 წლის გამოცემაში რუსეთის მიერ წარმოებადი ომის ტაქტიკა აღწერილია შემდეგნაირად: „სამხედრო და არასამხედრო იარაღების გამოყენება ინტეგრირებულ კამპანიაში, რომელიც შექმნილია მოულოდნელობის მისაღწევად; ინიციატივის ხელში ჩაგდებისა და ფსიქოლოგიური და ფიზიკური უპირატესობების მოსაპოვებლად. აღნიშნული ტაქტიკა მოიცავს დიპლომატიური საშუალებების გამოყენებას, სწრაფად, წინასწარ შემუშავებულ და წერტილოვანი ინფორმაციის გავრცელებას, ელექტრონულ და კიბეროპერაციებს; ფარულ და ზოგჯერ აშკარა სამხედრო და სადაზვერვო ქმედებებს; ეკონომიკურ ზეწოლას“[1].

როგორც ვხედავთ, რუსეთის მიერ წარმოებადი ჰიბრიდული ომი ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტის არასამხედრო მეთოდებზე და, კერძოდ, საინფორმაციო ომს უსვამს ხაზს, რომელიც მიმართულია საზოგადოების განწყობებზე, როგორც თანამედროვე კონფლიქტის სიმძიმის ძირითად ცე-

1 The Military Balance 2015 - https://www.iiss.org/publications/the-military-balance/the-military-balance-2015 [28.06.2022]

ნტრზე. რეტროსპექტივაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ჰიბრიდული ომი“ არის რუსეთის 2014 წლის კამპანიის, დასავლეთის სახელმწიფოების სუსტი რეაგირებისა და შიდა დესტაბილიზაციის მცდელობის ყველაზე წარმატებული მაგალითი. რუსული სტრატეგია ყირიმის ოკუპაციის დროს აერთიანებდა ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და კიბეროპერაციებს, რომლებიც კრიტიკულ კომპონენტებს წარმოადგენენ და რასაც გერასიმოვი უწოდებდა „არაწრფივ ომს“. რუსული საინფორმაციო ომი იყო მცდელობა გაექრო ზღვარი სიმართლესა და სიცრუეს შორის და შეექმნა ალტერნატიული რეალობა.

ლატვიელი ანალიტიკოსი იანის ბერზინიში რუსეთის თანამედროვე ომის წარმოების ტაქტიკას აჯამებს შემდეგი ციტატით: „მთავარი საბრძოლო სივრცე გონებაშია და, შედეგად, ახალი ეპოქის ომებში დომინირებს ინფორმაცია და ფსიქოლოგიური ომი. ...მთავარი მიზანია მძიმე სამხედრო ძალების განლაგების აუცილებლობის მინიმუმამდე შემცირება“. ისტორიის ფალსიფიცირება, ფაქტების დამახინჯება და სოციალურ განწყობებზე თამაში ის სტრატეგიაა, რაც რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აღსანიშნია, რომ ისტორიის გარდა, იგი რელიგიის ინსტრუმენტალიზაციასაც ახერხებს - რუსეთი მართლმადიდებლობის სახელით უპირისპირდება დასავლეთს, თითქოს დასავლეთი მისი ტრადიციული ღირებულებების შებღალვას ცდილობს. „რუსული სამყარო“ (რუს. „Русский Мир“), როგორც „რუსული სულის“ და „რუსული ღირებულებების“ დაცვის ტაქტიკა, აერთიანებს არამხოლოდ ეთნიკურ რუსებს, არამედ მსოფლიოს „რუსულენოვან მოსახლეობასაც“ - ეს ის აქსიომაა, რითაც მუდმივად მართლდება რუსული ჰიბრიდული ომი. შესაბამისად, აღნიშნული სტრატეგია, უმთავრესად, მიმართულია პოსტ-საბჭოთა სივრცეზე, მაგრამ, აგრეთვე, ვრცელდება რეგიონის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი არის ის, რომ, ისევე როგორც ნებისმიერ ომში, აქაც კრიტიკულ როლს თამაშობს გარემო და პროცესის სპეციფიკურობა. შესაბამისად, ნებისმიერი ტაქტიკა არის განუმეორებელი და ნებისმიერი მოვლენა უნდა განვიხილოთ, როგორც უნიკალური. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ რუსეთმა 2022 წელს უკრაინის წინააღმდეგ არ გამოიყენა თავისი ახალი სამხედრო დოქტრინა, რეალურად, იგი აწარმოებდა ჰიბრიდულ ომს, მაგრამ, კიევი მზადყოფნა, დასავლეთის მხარდაჭერა და თვითონ რუსეთის მიერ ახალი რეალობის არ გათვალისწინებამ გამოიწვია ის ეფექტი, რომ დღეს რუსეთი კლასიკურ კინეტიკურ ომს აწარმოებს, ვინაიდან ჰიბრიდულმა ომმა არ გაამართლა. ახალი ტექნოლოგიური, გეოპოლიტიკური და სოციალური სპეციფიკა მნიშვნელოვანია ჰიბრიდული ოპერაციების გამოყენების ხასიათისა და საშუალებების შერჩევისათვის. რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომის ეფექტიანობაზე საუბრისას, პირველ რიგში აღსანიშნია, უკრაინის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური რუსი უმცირესობების ფაქტორი, რომლებმაც, ჩვენი აზრით, იქონიეს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი. „კიევის ახალ ხელისუფლებას რუსული უმცირესობის უფლებების შეზღუდვა სურს“[2], - ასე მიმართა ვლადიმირ პუტინმა რუსებს 2014 წლის აპრილში მიცემულ სატელევიზიო ინტერვიუში. რუსეთის პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ კიევი რუსულენოვანი მოსახლეობის დისკრიმინაციას გეგმავდა, ეთნიკურ რუსებს კი „ნაციონალისტური ბანდ-ფორმირებები“ ავიწროებდნენ. აღნიშნული მოვლენების ფონზე, რუსეთის პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა, დიმიტრი პესკოვმა განაცხადა: „როცა რუსებს უკრაინაში საფრთხეს უქმნიან, რუსეთი გულხელდაკრეფილი ვერ დარჩება“. რუსული ენის სტატუსის საკითხი პოსტ-რევოლუციურ უკრაინაში მართლაც წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. „მაიდნის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ 2012 წელს მიღებული ენის კანონის გაუქმება სცადა. იანუკოვიჩის დროს მიღებული კანონი ადმინისტრაციული საქმის წარმოებისთვის უმცირესობების ენების გამოყენების ნებას იძლეოდა იმ შემთხვევაში, თუ ამ ენაზე ადგილობრივების 10%-ზე მეტი საუბრობდა. თუმცა, უკრაინის დროებითმა პრეზიდენტმა, ოლექსანდრ ტურჩინოვმა კანონი ძალაში დატოვა. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის მისიამ, რომელიც უკრაინაში 2014 წლის მარტ-აპრილში მუშაობდა, დამაჯერებლად უარყო მტკიცება, რომ ეთნიკურ რუსებს აღმოსავლეთ უკრაინაში საფრთხე ექმნებათ.

2014 წლის რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია არა მხოლოდ წარმოადგენდა ევროპის საზღვრების ყველაზე სერიოზულ დარღვევას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, არამედ ძირი გამოუთხარა გლობალურ ძალისხმევას ბირთვული იარაღის გავრცელების შესაჩერებლად. მოვლენები, რამაც გამოიწვია ნახევარკუნძულის ოკუპაცია და შემდგომი ანექსია, დაიწყო 2014 წლის თებერვლის ბოლოს, როდესაც კიევის „მაიდანის“ მოედანზე მომიტინგეებმა გადააყენეს მთავრობა. რუსეთმა შესანიშნავად გამოიყენა უკრაინაში შექმნილი ვითარება. მაიდანის მოვლენების დასრულებიდან მალევე ყირიმელმა სეპარატისტებმა ეჭვქვეშ დააყენეს კიევის ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაცია და რეფერენდუმი მემკვიდრეობის შესახებ ყირიმის სხვადასხვა ნაწილში დაიწყო. 25 თებერვლიდან პრორუსმა მომიტინგეებმა და რუსმა სპეცრაზმმა ადმინისტრაციული

2 ТАСС: Как на Украине ограничивали использование русского языка - https://tass.ru/info/11907705 [28.06.2022]

შენობები დაიკავეს,[3] რამაც გამოიწვია პრემიერ-მინისტრი მოჰილიოვის აქსიონოვით ჩანაცვლება. მომდევნო დღეებში „პატარა მწვანე კაცებმა“, რომლებიც, ეჭვგარეშე იყვნენ რუსი სამხედროები ამომცნობი ნიშნების გარეშე, დაიწყეს ნახევარკუნძულის სრულფასოვანი სამხედრო აღების ოპერაცია.[4]

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს რუსეთმა კატეგორიულად უარყო თავისი სამხედრო და სპეცრაზმის მონაწილეობა ყირიმის ანექსიაში და გაიმეორა, რომ ეს ყველაფერი ადგილობრივი მოსახლეობის ნებაა, მოგვიანებით თავად პუტინმა დაადასტურა, რომ ინტერვენციას ჰქონდა ადგილი. ყირიმის ანექსიაზე დასავლეთის რეაქციის გაანალიზებამდე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო ოპერაცია: ფიზიკური ყოფნის პარალელურად, რუსები ძლიერ დომინირებენ საინფორმაციო სივრცეში, ქმნიან ყირიმში განვითარებად მოვლენებზე ძალიან ბუნდოვან და შერეულ სურათს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჩართულობა თავიდანვე ნათელი იყო, მხოლოდ შემდგომ წლებში იყო სრულად გაგებული რუსეთის ქმედებების სრული სურათი და ბუნება - თავად რუსები აღარ მალავდნენ ჯარის წამყვან როლს ანექსიაში. მიუხედავად ამისა, როდესაც სიტუაცია განიმუხტა, რუსული მედია ცდილობდა დაემალა „პატარა მწვანე კაცების“. ადგილობრივი მოძრაობების, რეფერენდუმის, რუსულენოვანი უმცირესობების უფლებების დაცვის და ა.შ. ნამდვილი ბუნება.

ყირიმის ანექსირებით რუსეთმა დაარღვია შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები:

1. გაეროს წესდებაში ჩაურევლობის ვალდებულებები;

2. 1975 წლის ჰელსინკის აქტი;

3. 1990 წლის პარიზის ქარტია;

4. 1997 ხელშეკრულება რუსეთსა და უკრაინას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ;

5. 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმი უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.

ყირიმში შექმნილ ვითარებაზე ევროკავშირმა პირველად ისაუბრა 2014 წლის 6 მარტს ევროკავშირის სახელმწიფო მეთაურების საგანგებო შეხვედრის დროს. ერთობლივ განცხადებაში ევროკავშირის ლიდერებმა დაგმეს რუსეთის მიერ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და მოუწოდეს რუსეთს სასწრაფოდ გასულიყო მისი შეიარაღებული ძალები უკრაინის ტერიტორიიდან.[5] შემდეგი შეხვედრა, რომელზეც ყირიმში განვითარებული მოვლენები განიხილებოდა შედგა 20 მარტს, რეფერენდუმის და კრემლში გაწევრიანების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. შეხვედრის შემდგომ შემაჯამებელ განცხადებაში წერია: „ჩვენი მიზანია შევაჩეროთ რუსეთის ქმედება უკრაინის წინააღმდეგ და აღვადგინოთ უკრაინის სუვერენიტეტი. ამის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტაა შესაძლებელი“ - თქვა ჰერმან ვან რომპუიმ, ევროპული საბჭოს მაშინდელმა პრეზიდენტმა.[6]

ევროკავშირის ლიდერებმა გამოაცხადეს ახალი პირადი სანქციები, აკრძალვები და აქტივების გაყინვა და დაამატეს 12 ახალი რუსი და ყირიმელი ჩინოვნიკი იმ 21 თანამდებობის პირთა სიაში, რომლებიც უკვე, ევროკავშირის მინისტრების გადაწყვეტილებით, მათი სამიზნე იყო. ახალი სახელების გარდა, ევროპულმა საბჭომ გააუქმა ევროკავშირი-რუსეთის დაგეგმილი სამიტი და აღნიშნა, რომ წევრი ქვეყნები არ გამართავენ ორმხრივ რეგულარულ სამიტებს რუსეთთან.

2014 წლის ივნისის ბოლოს ევროკავშირმა შემოიღო შეზღუდვები ყირიმთან ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. ზომები ეხებოდა ევროკავშირის პირებს და ევროკავშირში დაფუძნებულ კომპანიებს. ეს ზომები მოიცავდა:

1. ყირიმიდან და სევასტოპოლიდან საქონლის იმპორტის აკრძალვა;

2. შეზღუდვები ვაჭრობაზე და ინვესტიციებზე, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ ეკონომიკურ სექტორებთან და ინფრასტრუქტურულ პროექტებთან;

3. ყირიმში ან სევასტოპოლში ტურისტული სერვისების მიწოდების აკრძალვა;

4. გარკვეული საქონლისა და ტექნოლოგიების ექსპორტის აკრძალვა.[7]

აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის შემდეგ, ევროკავშირის ყურადღება ყირიმიდან დონბასზე გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ოფიციალური განცხადება მოიცავდა ყირიმის საქმეს, მთავარი ყურადღება მას მიექცა იმის შემდეგ, რაც თვითმფრინავი MH17 ჩამოაგდეს აღმოსავლეთ უკრაინაში. შემდგომ მოყვა

3 RadioFreeEurope Live Blog: Ukraine In Crisis (ARCHIVE), Radio Free Europe/ Radio Liberty, July 16, 2015. https://www.rferl.org/a/26805126/lbl1lbi55555.html [20.06.2022]

4 Постановление Совета Федерации Федерального Совета Российской Федерации, March, 2014 https://web.archive.org/web/20140915180534/http://council.gov.ru/media/documents/pdf/41d4c5222e07062d3f21.pdf [20.06.2022]

5 Extraordinary meeting of EU Heads of State or Government on Ukraine, European Council, March 3, 2014 https://www.consilium.europa.eu/en/meetings/european-council/2014/03/06/ [20.06.2022]

6 European Council focuses on Ukraine crisis and further sanctions, European Council, March 20-21, 2014 https://www.consilium.europa.eu/en/meetings/european-council/2014/03/20-21/ [20.06.2022]

7 EU restrictive measures in response to the crisis in Ukraine, European Council, Council of the European Union https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/ukraine-crisis/ [20.06.2022]

რუსული არმიის შეჭრა აღმოსავლეთ უკრაინაში და მინსკის შეთანხმების უხეში დარღვევა. რაც შეეხება ყირიმს, ევროკავშირმა მოგვიანებით სანქციების სიაში შეიტანა დამატებით, ყირიმელი პოლიტიკოსები, დააწესა სანქციები 3 რუსული კომპანიის წინააღმდეგ, რომლებმაც ყირიმს გაზის ტურბინები გადასცეს და სანქციები დაუწესა ქერჩის ხიდის მშენებლობაში ჩართული 6 სუბიექტს.[8]

2018 წლის ნოემბრის ბოლოს ყირიმის ახალი კრიზისი ხელახალი გამოწვევა იყო საერთაშორისო საზოგადოებისთვის. რუსეთის სანაპირო დაცვის გემებმა საერთაშორისო წყლებში ცეცხლი გაუხსნეს უკრაინის საზღვაო ძალების გემების ჯგუფს, როდესაც ისინი ტოვებდნენ ქერჩის სრუტეს.[9] შედეგად, რუსებმა 24 უკრაინელი მეზღვაური დააკავეს და გადაიყვანეს მოსკოვში, ხოლო კომერციული გემების გადაზიდვა ქერჩის სრუტეზე რამდენიმე დღით გადაკეტილი იყო. რაც შეეხება ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის პასუხს ყირიმის ანექსიაზე – 2 მარტს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა მოიწვია ჩრდილოატლანტიკური საბჭო რუსეთის სამხედრო ქმედებებისა და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის სავარაუდო მუქარის გამო უკრაინის წინააღმდეგ[10]. ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაგმო რუსეთის სამხედრო ესკალაცია ყირიმში და ამას საერთაშორისო სამართლის დარღვევა უწოდა. რასმუსენმა ანექსიას უწოდა „ყველაზე სერიოზული საფრთხე ევროპის უსაფრთხოებისთვის ცივი ომის დასრულების შემდეგ“.[11]

ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ სატელეფონო საუბარში უთხრა პუტინს, რომ უკრაინაში სამხედროების გაგზავნით ის არღვევდა საერთაშორისო სამართალს, მათ შორის გაეროს წესით წესდებით ნაკისრ ვალდებულებას. მოუწოდა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა უკრაინის ტერიტორიიდან. კანადის პრემიერ-მინისტრმა სტივენ ჰარპერმა განაცხადა, რომ აჩერებდა კანადის მზადებას ივნისში რუსეთის კურორტ სოჭში G8 სამიტისთვის და გამოიწვია კანადის ელჩი მოსკოვში კონსულტაციებისთვის. გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თავშეკავებისკენ მოუწოდეს რუსეთს. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა მოუწოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს დაეშოშმინებინა „საშიში სიტუაცია“. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ თქვა, რომ ესაუბრა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს, ასევე ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უფროსს ქეთრინ ეშტონს და იაპონიის წარმომადგენელს აშშ-ში, რათა “კოორდინაცია გაუწიონ მომავალ ნაბიჯებს”.[12] ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერი ჰუა ჩუნიინგი ასევე შეუერთდა დასავლეთის ლიდერებს, ჩინეთი არ ერევა უკრაინის საშინაო საქმეებში, პატივს სცემს უკრაინელი ხალხის დამოუკიდებელ არჩევანს უკრაინის ეროვნული პირობების შესაბამისად და მზადაა თანაბარ პირობებში ხელი შეუწყოს უკრაინულ მხარესთან სტრატეგიულ პარტნიორობას“, - თქვა მან.

სამართლიანობა ითხოვს ითქვას, რომ რუსეთ-უკრაინის ომი არ დაწყებულა 2022 წლის 24 თებერვალს. იგი, ზუსტად რომ, გრძელდება 2014 წლის მარტიდან. მაგრამ, როგორც 2014 წელს, აგრეთვე დღესაც, ნატოს როლი აღნიშნულ მოვლენებში, მინიმალურია. ნატომ შეამცირა რუსეთთან თანამშრომლობის ფორმატები, გააძლიერა უკრაინასთან პარტნიორული საქმიანობა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში AWAC-ის სათვალთვალო თვითმფრინავები გააგზავნა, რათა უკეთ დააკვირდნენ რუსეთის შეტევას. პარალელურად შეერთებულმა შტატებმა გაზარდა მონაწილეობა ბალტიისპირეთის საჰაერო სივრცეში, დაამატა საჰაერო თავდაცვის კონტიგენტი პოლონეთში და გააგზავნა გემი რუმინეთთან და ბულგარეთთან საზღვაო მანევრების ჩასატარებლად შავ ზღვაში.[13] თუმცა ეს ქმედებები დარჩა მხოლოდ აქტივობად. რეალურად, არ ყოფილა რუსეთისთვის არავითარი საფრთხე, რაც ოდნავ მაინც შეაკავებდა მას. მიუხედავად ამისა, დღეს, როცა ნატო დეესკალაციაზე საუბრობს, პუტინი ფიქრობს ესკალაციის ზრდაზე - პუტინი აგრძელებს თავისი მიზნების განხორციელებას და მას არავინ აჩერებს. პუტინის ლოგიკით, ტერიტორიის შეძენა მუდმივი და სტრატეგიულია, სანქციები კი დროებითია.

ანექსიიდან 8 წლის შემდეგ, როდესაც ახალი და ფართომასშტაბიანი ომი მიმდინარეობს ევროპის

8 Timeline – EU restrictive measures in response to the crisis in Ukraine, European Council, Council of the European Union https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/ukraine-crisis/history-ukraine-crisis/ [20.06.2022]

9 Ukraine urges EU to impose new sanctions on Russia over attack near Kerch Strait, UNIAN, November 26, 2018. https://www.unian.info/politics/10351809-ukraine-urges-eu-to-impose-new-sanctions-on-russia-over-attack-near-kerch-strait.html [20.06.2022]

10 "NATO – News: Doorstep statement by the NATO Secretary General before the meetings of the North Atlantic Council and the NATO-Ukraine Commission – https://www.nato.int/cps/en/natolive/opinions_107663.htm [20.06.2022]

11 Council on foreign relations: What Is NATO? - https://www.cfr.org/backgrounder/what-nato [04.07.2022]

12 Ukraine Crisis: World Leaders React to Unfolding Disaster in Crimea, 03, 02, 2014 https://www.ibtimes.co.uk/ukraine-crisis-world-leaders-react-unfolding-crisis-crimea-1438553 [20.06.2022]

13 Foreignpolicy: Where's NATO's Strong Response to Russia's Invasion of Crimea? https://foreignpolicy.com/2014/03/18/wheres-natos-strong-response-to-russias-invasion-of-crimea/ [04.07.2022]

ტერიტორიაზე, შეგვიძია თამამად ვთქვათ, რომ ევროკავშირის მიერ რუსეთის მიმართ გამოყენებული სანქციების პოლიტიკამ სასურველი შედეგი არ მოიტანა - მან არც ანექსია შეაჩერა და არც რუსეთი შეაჩერა შემდგომი აგრესიული ნაბიჯებისაგან. ევროკავშირს არ გადაუხედავს თავდაპირველი სანქციების პოლიტიკისთვის, არც მას შემდეგაც, რაც რუსმა ოფიციალურმა პირებმა საჯაროდ დაადასტურეს, რომ ყირიმი სამხედრო ოპერაციის შედეგად იქნა აღებული.

ევროკავშირის სანქციების პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ ყირიმის უკანონო ანექსიისთვის რჩება რბილი. ევროკავშირს არ დაუწესებია ფართო ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ ანექსიის შემდეგ და არ დაუწესებია სანქციები რუსეთის მაღალჩინოსნებსა და ბიზნესმენებს. ასევე ცხადია, რომ თავად ყირიმი არ გახდა თამაშის შემცვლელი ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში. ეს იყო დასავლეთის საკმაოდ რბილი რეაქცია რუსეთის მიერ თანმიმდევრული უხეში დარღვევების სერიაში.

რუსეთის შეტევითმა პოლიტიკამ, ტერიტორიულმა ანექსიამ (ყირიმის), სამხედრო ძალის გამოყენების საფრთხემ და უკრაინაში სეპარატისტული ჯგუფების ფაქტობრივმა მხარდაჭერამ დასავლეთი და ნატო პრაქტიკულად უძლური დატოვა, რის გამოც, ჩვენი აზრით, შესაბამისად ვერ მოხდა დასავლეთის მხრიდან 2014 წლის მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება. აღნიშნულმა გამოავლინა პოლიტიკური განხეთქილება ევროპის პარტნიორ ქვეყნებს შორისაც. ეს შეიძლება აიხსნას ევროკავშირის დამოკიდებულებით რუსული გაზის მიწოდებაზე, მაგრამ ასევე იურიდიული შეზღუდვებისა და მოსაზრებების აღიარებით, როგორიცაა ნატოს მე-5 მუხლი (რომელიც მხოლოდ ნატოს წევრ სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში კოლექტიური თავდაცვის უფლებას იძლევა). პერსპექტივამ აჩვენა, რომ 2014 წლის გაზაფხულის მოვლენები რეგიონში ძალაუფლების ახალი ბალანსის სიტემის გაჩენას ემსახურებოდა. აღნიშნულმა ასევე დააბრუნა რუსეთი რეგიონში, როგორც ცენტრალური მოთამაშე. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია 2014 წლის აპრილში არის დასრულებული ფაქტი და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნებისმიერ დროს გადაიხედება, და სეპარატისტული ჯგუფების მუდმივი მხარდაჭერა უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც რუსულენოვანი უმცირესობა უმრავლესობაა, გვაფიქრებინებს, რომ რუსეთის ამბიციები უკრაინის მიმართ ჯერ არ ამოწურულა. 2022 წლის მოვლენებმა გვიჩვენა, რომ რუსეთის მიზანია ამ ისტორიულ ეტაპზე დონეცკი და ლუგანსკია - ამ მომენტისთვის უკრაინა უკვე გაყოფილი ქვეყანაა, ბრძოლები მიმდინარეობს მის ეთნიკურ ხაზებზე. 1990-იან წლებში ძველი იუგოსლავიის დაშლა და მისი შემდგომი ჰუმანიტარული კატასტროფა შეიძლება იყოს მკვეთრი შეხსენება მომავალი მოვლენების შესახებ. თუმცა, სწორედ ასეთი სამოქალაქო ომის პერსპექტივამ მოიხსნა რუსეთის ღია სამხედრო ინტერვენციის აუცილებლობა. რუსეთმა დაიწყო ომი ჰიბრიდული ომის გზით, ფარული სამხედრო ოპერატორების ან/და დაქირავებული ჯარისკაცების გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The Military Balance 2015 - https://www.iiss.org/publications/the-military-balance/the-military-balance-2015 [28.02.2023]

2. Countering Hybrid Threats in Cyberspace By LTC Bertrand Boyer

3. https://cyberdefensereview.army.mil/CDR-Content/Articles/Article-View/Article/1134632/countering-hybrid-threats-in-cyberspace/ [13.06.2022]

4. Countering Hybrid Threats in Cyberspace By LTC Bertrand Boyer. https://cyberdefensereview.army.mil/CDR-Content/Articles/Article-View/Article/1134632/countering-hybrid-threats-in-cyberspace/ [13.06.2022]

5. ТАСС: Как на Украине ограничивали использование русского языка - https://tass.ru/info/11907705 [28.02.2023]

6. Rada removes Yanukovych from office, schedules new elections for May 25, Interfax, February 22, 2014, https://en.interfax.com.ua/news/general/192030.html [28.02.2023]

7. RadioFreeEurope Live Blog: Ukraine In Crisis (ARCHIVE), Radio Free Europe/ Radio Liberty, July 16, 2015. https://www.rferl.org/a/26805126/lbl1l-bi55555.html [20.01.2023]

8. Постановление Совета Федерации Федерального Совета Российской Федерации, March, 2014 https://web.archive.org/web/20140915180534/http://council.gov.ru/media/documents/pdf/41d4c5222e07062d3f21.pdf [20.01.2023]

9. Direct Line with Vladimir Putin, The Kremlin, April 17, 2014. http://en.kremlin.ru/events/president/news/20796 [20.01.2023]

10. Extraordinary meeting of EU Heads of State or Government on Ukraine, European Council, March 3, 2014 https://www.consilium.europa.eu/en/meetings/european-council/2014/03/06/ [20.02.2023]

11. European Council focuses on Ukraine crisis and further sanctions, European Council, March 20-21, 2014 https://www.consilium.europa.eu/en/meetings/european-council/2014/03/20-21/ [20.03.2023]

12. EU restrictive measures in response to the crisis in Ukraine, European Council, Council of the European

Union https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/ukraine-crisis/ [20.03.2023]

13. Timeline – EU restrictive measures in response to the crisis in Ukraine, European Council, Council of the European Union https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/ukraine-crisis/history-ukraine-crisis/ [20.02.2023]

14. Ukraine urges EU to impose new sanctions on Russia over attack near Kerch Strait, UNIAN, November 26, 2018 https://www.unian.info/politics/10351809-ukraine-urges-eu-to-impose-new-sanctions-on-russia-over-attack-near-kerch-strait.html [20.06.2022]

15. "NATO – News: Doorstep statement by the NATO Secretary General before the meetings of the North Atlantic Council and the NATO-Ukraine Commission – https://www.nato.int/cps/en/natolive/opinions_107663.htm [20.02.2023]

16. NATO: North Atlantic Council statement on the situation in Ukraine - https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_107681.htm [04.01.2023]

17. Council on foreign relations: What Is NATO? - https://www.cfr.org/backgrounder/what-nato [04.01.2023]

18. Estonian ministry of foreign affairs: The Foreign Affairs Ministers of the Nordic, Baltic and Visegrad countries met in Narva on 6-7 March and issued a joint statement regarding the situation in Ukraine -https://web.archive.org/web/20140310143746/http:/www.vm.ee/?q=en%2Fnode%2F19360 [20.01.2023]

19. Ukraine Crisis: World Leaders React to Unfolding Disaster in Crimea, 03, 02, 2014 https://www.ibtimes.co.uk/ukraine-crisis-world-leaders-react-unfolding-crisis-crimea-1438553 [20.01.2023]

20. NATO: North Atlantic Council statement on the situation in Ukraine https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_107681.htm [04.07.2022]

21. NATO: Statement by the North Atlantic Council following meeting under article 4 of the Washington Treaty https://www.nato.int/cps/en/natolive/news_107716.htm [04.07.2022]

22. NATO: Statement by the North Atlantic Council on the so-called referendum in Crimea https://www.nato.int/cps/en/natolive/news_108030.htm [04.07.2022]

23. Foreignpolicy: Where's NATO's Strong Response to Russia's Invasion of Crimea? https://foreignpolicy.com/2014/03/18/wheres-natos-strong-response-to-russias-invasion-of-crimea/ [04.07.2022]